დ ა ს კ ვ ნ ა

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ 2021 წლის 28 მაისს განიხილა განკარგულების პროექტი წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მიერ 2020 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესაბამისად განხორციელებული შესყიდვების შესახებ ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

წარმოდგენილი საკითხი გატანილ იქნა კენჭისყრაზე და მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული აღნიშნული პროექტი გატანილ იქნეს ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

კომისიის თავმჯდომარე: თამარ მამარდაშვილი

პროექტი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №__

2021 წლის __ მაისი

ქ. წყალტუბო

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მიერ 2020 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესაბამისად განხორციელებული შესყიდვების ანგარიშის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მიერ 2020 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესაბამისად განხორციელებული შესყიდვების შესახებ ანგარიში.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ პუნქტის „გ.ვ“ ქვეპუნქტისა შესაბამისად:

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მიერ 2020 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესაბამისად განხორციელებული შესყიდვების შესახებ ანგარიში მიღებულ იქნეს ცნობის სახით (თან ერთვის).

2. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა:
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებების დაცვის
მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი — გელა თათარაშვილი

შეთანხმებულია:
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე — თამარ მამარდაშვილი

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **48-482105631**
თარიღი: **25/02/2021**
პინი: **0346**

ადრესატი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ პაატა ახალაძეს

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ" პუნქტის „გ.ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წარმოგიდგენთ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მიერ

2020 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესაბამისად

განხორციელებილი შესყიდვების შესახებ

ა ნ გ ა რ ი შ ი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მიერ 2020 წელს განსახორციელებელი სახელმწიფო შესყიდვების გეგმა შემუშავდა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-9 მუხლის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის" მე-4 მუხლისა და 2010 წლის 20 სექტემბერის №7 ბრძანებით დამტკიცებული „შესყიდვის ობიექტების იდენტიფიცირებისა და ერთგვაროვნების დადგენის წესი"-ს შესაბამისად.

სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის შედგენისას, ერთიანი სისტემატიზებული ფორმით შეგროვდა და გაანალიზდა ინფორმაცია დაგეგმილი და წარმოებული სახელმწიფო შესყიდვების, არსებული და შესაძლო შესყიდვის ობიექტების პოტენციური მომწოდებლებისა და სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე ორგანიზაციების, მათ მიერ საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოების მოწოდებაზე გაკეთებული შემოთავაზებების, აგრეთვე მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესახებ.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2020 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმა დამტკიცდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 20 ნოემბრის №ბ48.48203253 ბრძანებით.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ წლის დასაწყისისათვის დამტკიცებული წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების შესაბამისად, შესყიდვების გეგმით გათვალისწინებული იქნა 3 966 300 ლარის საერთო (ჯამური) ღირებულების სამუშაოს, საქონლისა და მომსახურების შესყიდვების განხორციელება.

საქართველო, 5400, წყალტუბო, რუსთაველის ქ. N25, ტელეფონი (+995)595 95 90 72;
ელ-ფოსტა: tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge, ვებ-გვერდი: www.tskaltubo.gov.ge

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის“ მე-4 მუხლის მე-3[1] პუნქტის საფუძველზე, სახელმწიფო შესყიდვების წლიურ გეგმაში 2020 წლის განმავლობაში 26-ჯერ იქნა შეტანილი ცვლილებები (ბიუჯეტის ცვლილებების შესაბამისად), რის შედეგად, 2020 წლის დასაწყისისათვის გეგმით გათვალისწინებული შესყიდვების საერთო (ჯამური) ღირებულება გაიზარდა და 2020 წლის საბიუჯეტო წლის დასრულებისათვის საერთო (ჯამური) ღირებულებით შეადგინა - 15 492 055 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 დეკემბრის №2630 განკარგულებით, დამტკიცებული იქნა რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან (რ.გ.ფ.) 2020 წელს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტები, საერთო (ჯამური) ღირებულებით შეადგინს 4 501 324 ლარს.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 18 მარტის №553, 2020 წლის 24 მარტის №534, 2020 წლის 23 ივნისის №1049 და 2020 წლის 28 დეკემბრის №2618 განკარგულებებით ცვლილება შევიდა საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 დეკემბრის №2630 განკარგულებაში, რითაც დამტკიცებული იქნა საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან (რ.გ.ფ.) 2020 წელს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში დამატებით განსახორციელებელი პროექტები.

საბოლოოდ, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან (რ.გ.ფ.) საქართველოს მთავრობის ზემოაღნიშნული განკარგულებებით დამტკიცებული იქნა 2020 წელს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი შემდეგი პროექტები:

N	**2020 წელს დაგეგმილი პროექტების დასახელება**
1	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ფარცხანაყანევში (გოდუაძეების უბანში) გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით
2	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირში ჭეიშვილების უბანში გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით
3	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მაღლაკში (იმერეთის საყრდენი პუნქტი) გზის რეაბილიტაცია ასფალტის საფარით
4	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ საყულიაში სასაფლაოსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით
5	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ცხუნკურში (წიაღის უბანში) გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით
6	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ტყაჩირში ბოჭორიშვილების უბანში გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით
7	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გუმბრაში (გუმბრინის დასახლება) სასაფლაოსთან მისასვლელი გზისა და თუთბერიძეების უბანში გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით
	ქალაქ წყალტუბოში ჭავჭავაძის ქუჩის მე-2 ჩიხში და ერისთავის ქუჩაზე №16

65

8	ბინის მიმდებარედ გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით
9	ქალაქ წყალტუბოში კოსტავას ქუჩაზე №2 ბინის მიმდებარედ და სოლომონ პირველის ქუჩის გზების რეაბილიტაცია
10	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ პირველ წყალტუბოში გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით
11	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფ. ზედა მესხეთში გამსახურდიას ქუჩაზე გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით
12	წყალტუბოს მუნიციპალიტეტიშ სოფ. გვიშტიბში ბობოხიძეების უბანში გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით
13	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ წყალტუბოში (მე-2 უბანი) I, II,III, IV უბნების გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები
14	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ყუმისთავში, სვანიძეების უბანში გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით
15	სოფელ ცხუნკურში, ჩირგაძეების უბანში გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით
16	2020-2021 წლების დაფინანსების ფარგლებში წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთში საავტომობილო გზის რეაბილიტაციის სამუშაოები. 2020 წელს უნდა შესრულდეს არანაკლებ 350 000 ლარის ღირებულების სამუშაოები, ხოლო დარჩენილი ნაწილი - 2021 წლის 10 თებერვლის ჩათვლით პერიოდში
17	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფ ბანოჯაში მე-19 ქუჩაზე გზის რეაბილიტაცია
18	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი სოფ. ხომულში მე-18 ქუჩის რეაბილიტაცია
19	სოფ. მუხიანში, ბროწეულას დასახლებაში მისასვლელი გზის რეაბილიტაცია
20	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფ. რიონში სასმელი წყლის ქსელის მოწყობა

პროექტების საერთო (ჯამური) ღირებულებად განისაზღვრა ***8 248 273*** *ლარი,* მათ შორის: საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან – ***7 783 489*** ლარი, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით თანადაფინანსება (შევსება) – ***464 864*** ლარი, რაც შესაბამისად გაიწერა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტსა და შესყიდვების გეგმაში.

2020 წლის განმავლობაში წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერებში გამარჯვებულ მიმწოდებლებთან დადებული ხელშეკრულებების საერთო (ჯამურმა) ღირებულებამ შეადგინა 10 665 065 , 10 ლარი.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში დამტკიცებული იყო 2020 წელს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი შემდეგი პროექტები:

№	სოფელი	პროექტის დასახელება
1	საყულია	გარე განათების ქსელის მოწყობა
2	ოფშკვითი	გარე განათების ქსელის მოწყობა
3	გეგუთი	გარე განათების ქსელის მოწყობა
4	გეგუთი	მზა ბეტონის შეძენა სოფლის შიდა გზების რეაბილიტაციისათვის
5	პატრიკეთი	მზა ბეტონის შეძენა სოფლის შიდა გზების რეაბილიტაციისათვის
6	ტყაჩირი	მზა ბეტონის შეძენა სოფლის შიდა გზების რეაბილიტაციისათვის
7	თერნალი	გარე განათების ქსელის მოწყობა
8	გვიშტიბი	სანიაღვრე არხის მოწყობა
9	პირველი წყალტუბო	სანიაღვრე არხის მოწყობა
10	გუბისწყალი	მზა ბეტონის შეძენა სოფლის შიდა გზების რეაბილიტაციისათვის
11	ბანოჯა	მზა ბეტონის შეძენა სოფლის შიდა გზების რეაბილიტაციისათვის

საქართველო, 5400, წყალტუბო, რუსთაველის ქ. N25, ტელეფონი (+995)595 95 90 72;
ელ-ფოსტა: tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge, ვებ-გვერდი: www.tskaltubo.gov.ge

655

12	გუმბრა	მზა ბეტონის შეძენა სოფლის შიდა გზების რეაბილიტაციისათვის
13	ხომული	მზა ბეტონის შეძენა სოფლის შიდა გზების რეაბილიტაციისათვის
14	მაღლაკი	გარე განათების ქსელის მოწყობა
15	მიწაწითელი	სოფლის შიდა გზების მოწესრიგება (მოხვნა-გასწორება)
16	მიწაწითელი	სოფლის სასაფლაოს შესასვლელი ჭიშკრის შესყიდვა და მონტაჟი
17	ბენთქოულა	სოფლის შიდა საავტომობილო გზის რეაბილიტაცია (მოხვნა-გასწორება)
18	ზედა ონჭეიში	გარე განათების ქსელის მოწყობა
19	ზედა ონჭეიში	საცალფეხო ხიდის ბურჯის მოწყობა
20	ქვედა ონჭეიში	მზა ბეტონის შეძენა სოფლის შიდა გზების რეაბილიტაციისათვის
21	მექვენა	მზა ბეტონის შეძენა სოფლის შიდა გზების რეაბილიტაციისათვის
22	ვანისჭალა	სოფლის შიდა საავტომობილო გზის რეაბილიტაცია
		მზა ბეტონის შეძენა სოფლის შიდა გზების

23	დერჩი	რეაბილიტაციისათვის
24	ქვიტირი	ყოფილი დაწყებითი საჯარო სკოლის შენობის რეაბილიტაცია
25	ზედა მესხეთი	გარე განათების ქსელის მოწყობა
26	ფარცხანაყანევი	გარე განათების ქსელის მოწყობა
27	მუხიანი	გარე განათების ქსელის მოწყობა ქვაჩაკიძეების უბანში
28	ქვედა მესხეთი	სოფლის სასაფლაოს შემორაგვა
29	უკანეთი	მზა ბეტონის შეძენა სოფლის შიდა გზების რეაბილიტაციისათვის
30	ცხუნკური	მზა ბეტონის შეძენა სოფლის შიდა გზების რეაბილიტაციისათვის
31	ყუმისთავი	მზა ბეტონის შეძენა სოფლის შიდა გზების რეაბილიტაციისათვის
32	ზედა ჩუნეში	მზა ბეტონის შეძენა სოფლის შიდა გზების რეაბილიტაციისათვის
33	რიონი	მზა ბეტონის შეძენა სოფლის შიდა გზების რეაბილიტაციისათვის

34	მეჩხერი	მზა ბეტონის შეძენა სოფლის შიდა გზების რეაბილიტაციისათვის
35	ზარათი	მზა ბეტონის შეძენა სოფლის შიდა გზების რეაბილიტაციისათვის
36	ნოღა	მზა ბეტონის შეძენა სოფლის შიდა გზების რეაბილიტაციისათვის
37	სორმონი	მზა ბეტონის შეძენა სოფლის შიდა გზების რეაბილიტაციისათვის
38	ჭოლევი	მზა ბეტონის შეძენა სოფლის შიდა გზების რეაბილიტაციისათვის
39	ჭაშლეთი	მზა ბეტონის შეძენა სოფლის შიდა გზების რეაბილიტაციისათვის
40	ლეხინდრისთავი	მზა ბეტონის შეძენა სოფლის შიდა გზების რეაბილიტაციისათვის

საქართველო, 5400, წყალტუბო, რუსთაველის ქ. N25, ტელეფონი (+995)595 95 90 72;
ელ-ფოსტა: tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge, ვებ-გვერდი: www.tskaltubo.gov.ge

41	საჩხეური	მზა ბეტონის შეძენა სოფლის შიდა გზების რეაბილიტაციისათვის
42	დღნორისა	მზა ბეტონის შეძენა სოფლის შიდა გზების რეაბილიტაციისათვის
43	სოფელი წყალტუბო	მზა ბეტონის შეძენა სოფლის შიდა გზების რეაბილიტაციისათვის
44	ქვილიშორი	მზა ბეტონის შეძენა სოფლის შიდა გზების რეაბილიტაციისათვის
45	ჩუნეში	მზა ბეტონის შეძენა სოფლის შიდა გზების რეაბილიტაციისათვის
46	ოფურჩხეთი	მზა ბეტონის შეძენა სოფლის შიდა გზების რეაბილიტაციისათვის
47	გუმათი	მზა ბეტონის შეძენა სოფლის შიდა გზების რეაბილიტაციისათვის
48	ნამოხვანი	გარე განათების მოწყობა საკირესა და სიმსივეების უბანში

49	ჟონეთი	მზა ბეტონის შეძენა სოფლის შიდა გზების რეაბილიტაციისათვის
50	ჯიმასტარო	მზა ბეტონის შეძენა სოფლის შიდა გზების რეაბილიტაციისათვის

2020 წლის განმავლობაში აღნიშნული სამუშაოების შესყიდვის მიზნით მიმწოდებლებთან დადგენილი წესით დადებული სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებების საერთო (ჯამურმა) ღირებულებამ შეადგინა 1 144 046,39 ლარი, მათ შორის მთავრობის განკარგულებით - 652 117, 36 ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით - 491 929, 03 ლარი.

2020 წელს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მიერ სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის საშუალებით სულ გამოცხადებულია 136 ელექტრონული ტენდერი.

2020 წელს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისიის მიერ სულ განხილულია 393 საკითხი, 171 ელექტრონულ შესყიდვაზე განხორციელებულია შესაბამისი პროცედურები (სატენდერო პირობების შედგენა/დამტკიცება, ტენდერის გამოცხადება, შერჩევა - შეფასება, გამარჯვებულის გამოვლენა, ხელშეკრულების დასადებად მოწვევა და სხვა), ამავე პერიოდში სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთულია სათანადო დოკუმენტაცია (ჯამში ათასობით ნაბეჭდი ფურცლის დასკანერებული და დაფორმატებული (pdf/xlsx) ასლები: ხელშეკრულებები, მიღება - ჩაბარების აქტები, შესრულებული სამუშაოების აქტები, საექსპერტო/აუდიტორული დასკვნები, ფაქტობრივი გადახდების დამადასტურებელი დოკუმენტები და სხვა).

2020 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესაბამისად, ყოველი შესყიდვის პროცედურების დაწყებამდე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტმა ჩაატარა მოსამზადებელი სამუშაოები შესყიდვის კონკრეტული ობიექტების მახასიათებლების, სავარაუდო ღირებულების, შესყიდვის განხორციელების საშუალების და დაფინანსების მოცულობის დაზუსტების, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებასთან დაკავშირებული დოკუმენტებისა და ხელშეკრულების პროექტის მომზადების მიზნით.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ შემუშავებული იქნა სატენდერო დოკუმენტაციის სტანდარტული სარეკომენდაციო პროექტები, წყალტუბოს მუნიციპალიტეტი სრულად ხელმძღვანელობს აღნიშნული რეკომენდაციებით, აგრეთვე, კონკრეტული ტენდერის გამოცხადებამდე, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს შეთანხმებისათვის წინასწარ ეგზავნება თითოეული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაცია, მათ შორის - ტექნიკური მოთხოვნები და ხელშეკრულების პროექტი.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 იანვრის №2 დადგენილებით ცვლილება შევიდა „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის №26 დადგენილებაში და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის ხარჯებში გაიწერა 2020 წლიდან გარდამავალი ვალდებულებები, საერთო (ჯამური) ღირებულებით - 1 557 116

ლარი, რომელთა შესაბამისი შესყიდვები ან/და თანხის ანაზღაურება განხორციელდება 2021 წელს. აღნიშნულის საფუძველზე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2021 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმაში განხორციელდა შესაბამისი კორექტირება.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მიერ 2020 სახელმწიფო შესყიდვების გეგმით გათვალისწინებული ყველა შესყიდვა განხორციელებილია დადგენილი წესების, პროცედურებისა და ვადების დაცვით, სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი შემდეგი საკანონმდებლო და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად:

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონი, საქართველოს მთავრობის შესაბამისი დადგენილებები და განკარგულებები, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესი", სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი", სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესი", სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2010 წლის 20 სექტემბერის №7 ბრძანებით დამტკიცებული „შესყიდვის ობიექტების იდენტიფიცირებისა და ერთგვაროვნების დადგენის წესი", სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს რეკომენდაციები და მეთოდური მითითებები, აგრეთვე სხვა შესაბამისი სამართლებრივი აქტები (სახელმწიფო შესყიდვების წესებსა და პროცედურებს არეგულირებს 30-ზე მეტი სხვადასხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, ასევე სხვადასხვა მეთოდური მითითებები).

პატივისცემით,

გრიგოლ იოსელიანი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი

საქართველო, 5400, წყალტუბო, რუსთაველის ქ. N25, ტელეფონი (+995)595 95 90 72;
ელ-ფოსტა: tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge, ვებ-გვერდი: www.tskaltubo.gov.ge

661